სათეატრო ხელოვნების, თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) თეატრმცოდნეობის, სამსახიობო ხელოვნების, ქორეოგრაფიის და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N9

თბილისი, 20 ივლისი, 2022

სათეატრო ხელოვნების, თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) თეატრმცოდნეობის, სამსახიობო ხელოვნების, ქორეოგრაფიის და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

1. **მირანდა ბაღდადიშვილი** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - **საბჭოს მდივანი;**
2. **თამარ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი **- საბჭოს წევრი;**
3. **თამარ ცაგარელი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის კურატორი - **საბჭოს წევრი;**
4. **ეკატერინე გელიაშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქორეოგრაფი, ასოცირებული პროფესორი, ა(ა)იპ ეროვნული ქორეოგრაფიის ცენტრი „გე არტ" გენერალური დირექტორი - **საბჭოს წევრი;**
5. **ლაშა ჩხარტიშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
6. **თინათინ ქოიავა -** თეატრალური ხელოვნების დოქტორი, თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის დირექტორი, საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენოსანი - **საბჭოს წევრი;**
7. **ზვიად ბაქრაძე** - სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნებისსახელმწიფო სასწავლებლის დირექტორი - **საბჭოს წევრი;**
8. **ნინო ტურაბელიძე** - სტილიზებულ ფოლკორის თეატრ „ნაბადის" დამფუძნებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
9. **დიმიტრი ხვთისიაშვილი** - თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ა(ა)იპ შემოქმედებით კავშირ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **- საბჭოს წევრი;**
10. **ნატალია თვალჭრელიძე** - ილიაუნის თეატრის დირექტორი, სსიპ ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის ლექტორი - **საბჭოს წევრი;**
11. **ზაზა სოფრომაძე** - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობისსამინისტროს შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი- **საბჭოს წევრი;**

12. **არჩილ ჭოტაშვილი** - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობისსამინისტროს კულტურის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი - **საბჭოს წევრი;**
13. **ეკატერინე ბაკურაძე** - შპს მოძრაობის თეატრის ივენთების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
14. **ანდრო ენუქიძე** - არტ მენეჯმენტის დოქტორი, სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ჯგუფის ხელმძღვანელი; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი; ბათუმის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორთა/ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე - **საბჭოს წევრი.**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი.
- **ხატია ბერიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე.

კვალიფიკაციების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 21 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 14 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარის ნინო ლიპარტიანის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო, მისი მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრა საბჭოს წევრი ნატალია თვალჭრელიძე. რომელმაც წარადგინა დღის წესრიგი, კერძოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 21 ივნისს გაგზავნილი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის N 684639) სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა.

საბჭოს მიერ შემუშავებული შემდეგი დარგობრივი მახასიათებლების შესახებ კომენტარების განხილვა :

- თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი
- თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი
- ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი
- სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

ზემოაღნიშნულიდ დარგობრივი მახასიათებლების ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხის კენჭისყრა.

მოისმინეს

ცენტრში 2022 წლის 21 ივნისს ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრნვლყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და საბჭოს წევრის ანა სამსონაძის გაგზავნილი წერილის შესახებ (ცენტრში რეგისტრაციის N 684639).

ცენტრის წარმომადგენელმა ნინო გოგლიჩიძემ აღიშნა, რომ საბჭოს მე-8 სხდომაზე წევრებმა უკვე იმსჯელეს მითითებულ წერილში აღნიშნულ ორ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ინიციატივას დეტალური სწავლის სფეროს 0215.1.5. სამსახიობო ხელოვნების დასახელების - საჭიროებს შემდეგი სახით დაკონკრეტებასთან დაკავშირებით: 0215.1.5. სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი , პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) Acting (Drama and film actor, Musical theater actor, Pantomime theater actor, Puppet theater actor). საბჭოს წევრებმა მისაღებად მიიჩნიეს აღნიშნული ინიციატივა და მე-9 სხდომაზე წარმოადგნეს განახლებული დარგობრივი მახასიათებელი, დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროს ფორმულირებაში დაზუსტდა **სამსახიობო ხელოვნების** პროფესიული მიმართულებები, რომელიც შესაძლებელია დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის ან მოდულის სახით განხორციელდეს - დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი. ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში, აღნიშნული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის წარმოადგენს დამატებით მითითებას სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებული პროფილების შესახებ.

დაადგინეს

დარგობრივ მახასიათებელში სწავლის სფერო 0215.1.5. სამსახიობო ხელოვნება მოხსენიებულია შემდეგნაირად: 0215.1.5. სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი , პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) Acting (Drama and film actor, Musical theater actor, Pantomime theater actor, Puppet theater actor). შესაბამისად, მოცემული მიმართულებით დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების საფუძველზე უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში.

მოისმინეს

- შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ინიციატივასთან დაკავშირებით რომელიც ეხებოდა სწავლის სფეროს თეატრმცოდნეობის თეატროლოგიით ჩანაცვლებას საბჭომ აღიშნულთან დაკავშირებით მე-7 სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება და რამდენადაც ტერმინი *თეატრმცოდნეობა* საბჭოთა ეპოქის სივრცეში ჩამოყალიბდა სამეცნიერო მიმოქცევაში, რომელიც ითარგმნა რუსულენოვანი ტერმინიდან - Театроведение. ამასთანავე, საერთაშორისო ასპარეზზე, ამ დარგის აღმნიშვნელ ტერმინებად ხშირად გვხვდება ტერმინები: Theatrology /თეატროლოგია, Theatre Science / სათეატრო მეცნიერება, History and theory of Theatre / თეატრის ისტორია და თეორია, Dramatica / დრამატიკა. საეთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითა და დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების მოსაზრებით და მართებულად მიიჩნია შეიცვალოს შემდეგი სწავლისს ფეროს 0215.1.3 თეატრმცოდნეობა Theatre

Studies ქართულენოვანი დასახელება შეიცვალოს შემდეგნაირად: 0215.1.3 თეატროლოგია / Theatre Studies. საბჭოს მე-8 სხდომაზე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დარგობრივი მახასიათებლის პროეტში შესაბამისი ცვლილების ასახვა.

დაადგინეს

სხდომაზე დოკუმენტი კორექტირებული ფორმით იქნა წარმოდგენილი რომელშიც მოხდა ტერმინი თეატრმცოდნეობის თეატროლოგიით ჩანაცვლება, ხოლო დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი.

მოისმინეს

2022 წლის 21 ივნისს ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრნვლყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და საბჭოს წევრის ანა სამსონაძის ავტორობით გაგზავნილი წერილში (ცენტრში რეგისტრაციის N 684639) მითითებული კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება ითხოვდა დეტალური სფეროს: 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება Music and Performing Art აღწერაში მოცემული ქართულენოვანი ტექსტის თარგმანის გასწორებასა და დარგობრივ ტერმინოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ, არსებულ ფორმულირებაში: „შეისწავლის საშემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, ***მიმიკა, ხასიათის შექმნა,*** იმპროვიზირება და ***სასცენო ოსტატობა***) დაკავშირებულ პრინციპებსა და ტექნიკას, ასევე მოიცავს მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესწავლას.

Is the study of the principles and techniques associated with performance involving music, speech, movement, mime, characterisation, improvisation and stage craft. Study of music and performing arts history and theory is included here.''

მხოლოდ ქართულენოვან ტექსტში სიტყვა „მიმიკა“ უნდა შეიცვალოს „პანტომიმით“ „ხასიათის შექმნა“ -„ „მხატვრული სახის შექმნით“ ხოლო „სასცენო ოსტატობა“- „სასცენო ხელოვნებით.“ შესაბამისად დეტალური სფეროს ქართულენოვანი აღწერა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „შეისწავლის საშემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, პანტომიმა, მხატვრული სახის შექმნა, იმპროვიზირება და სასცენო ხელოვნება) დაკავშირებულ პრინციპებსა და ტექნიკას, ასევე მოიცავს მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესწავლას.“

დაადგინეს

საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ინიციატივას მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალური სწავლის სფეროს აღწერის დარგობრივ ტერმინოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით და დეტალური სფეროს ქართულენოვანი აღწერის შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბებას: „შეისწავლის საშემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, პანტომიმა, მხატვრული სახის შექმნა, იმპროვიზირება და სასცენო ხელოვნება) დაკავშირებულ პრინციპებსა და ტექნიკას, ასევე მოიცავს მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესწავლას.“

მოისმინეს

- ცენტრის წარმომადგენლის, ნინო გოგლიჩიძის წინადადება სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში სწავლის სფეროს აღწერის თავის 1-ელ აბზაცში წარმოდგენილი შემდეგი ფორმულირება „უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სწავლის სფეროს ფორმულირებაში დაზუსტდა სამსახიობო ხელოვნების პროფესიული მიმართულებები, რომელიც შესაძლებელია დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის ან მოდულის სახით განხორციელდეს - დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი. ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში, აღნიშნული სწავლის სფეროს შესაბამისი სგანანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის წარმოადგენს დამატებით მითითებას სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებული პროფილების შესახებ. შესაბამისად სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0215.1.5. სამსახიობო ხელოვნება" დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 0215.1.5. სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) Acting (Drama and film actor, Musical theater actor, Pantomime theater actor, Puppet theater actor)." გადატანილ იქნას შესავლის თავის ბოლო აბზაცად.
- სწავლისს ფეროს აღწერის მე-2 აბზაცში 1-ელ წინადადებაში: „ დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს დრამისა და კინოს მსახიობის პროფესიის ძირითადი ელემენტები, განუვითაროს საჭირო უნარ-ჩვევები, გაუკვალოს გზა მსახიობის პროფესიის უმთავრესი მიზნის – მხატვრული სახის შექმნისაკენ; გამოუმუშაოს შემოქმედებითი, საშემსრულებლო მაღალპროფესიული ჩვევები და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი". არსებული ფორმულირება მიზანშეწონილია დაკორექტირდეს შემდეგნაირად: „სამსახიობო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს დრამისა და კინოს მსახიობის პროფესიის ძირითადი ელემენტები, განუვითაროს საჭირო უნარ-ჩვევები, გაუკვალოს გზა მსახიობის პროფესიის უმთავრესი მიზნის – მხატვრული სახის შექმნისაკენ; გამოუმუშაოს შემოქმედებითი, საშემსრულებლო მაღალპროფესიული ჩვევები და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი."
- ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგების უარის კომპონენტში მოცემული შემდეგი სწავლის შედეგიდან „სცენური და ეკრანული სახის შესაქმნელად იყენებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას პლასტიკის, ვოკალის, მეტყველების, ეტიკეტის, პანტომიმის, სასცენო მოძრაობის, რითმიკის, თოჯინების მართვის, კამერასთან მუშაობის და ა. შ. უნარებს; ამოღებულ უნდა იქნეს „და ა.შ." რადგანაც ექსპერტთათვის რთული დასადგენი იქნება წინამდებარე დოკუმენტთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა და რამდენადაც უსდ-ებს პროგრამებში უფლება აქვთ რომ დამატებით სხვა შედეგებიც განსაზღვრონ რა იქნება დამატებით გათვალისწინებული თითოეული პროგრამა ინდივიდუალურად განსაზღვრავს.

დაადგინეს

საბჭომ გაიზიარა ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრება და დოკუმენტი დაკორექტრდა შემოთავაზებული ფორმულირებებისამებრ.

მოისმინეს

- წინადადებები თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან დაკავშირებით, კერძოდ: სწავლისს ფეროს

აღწერაში მოცემული შემდეგი ფორმულირება: „უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სფეროს სპეციალისტების გადაწყვეტილებით, ტერმინ **თეატრმცოდნეობის** ნაცვლად, სწავლის სფეროს აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენებულია **თეატროლოგია / Theatre Studies.**

ტერმინი *თეატრმცოდნეობა* საბჭოთა ეპოქის სივრცეში ჩამოყალიბდა სამეცნიერო მიმოქცევაში, რომელიც ითარგმნა რუსულენოვანი ტერმინიდან - Театроведение. ამასთანავე, საერთაშორისო ასპარეზზე, ამ დარგის აღმნიშვნელ ტერმინებად ხშირად გვხვდება ტერმინები: Theatrology /თეატროლოგია, Theatre Science / სათეატრო მეცნიერება, History and theory of Theatre / თეატრის ისტორია და თეორია, Dramatica / დრამატიკა. საეთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითა და დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების მოსაზრებით სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული დეტალური სფეროს დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით **0215.1.3 თეატროლოგია / Theatre Studies.**" გადატანილ იქნას დოკუმენტის შესავლის ბოლოს.

- ბაკალავრიტის საფეხურის სწავლის შედეგების კომპონენტში შემდეგი ორი შედეგი: „აანალიზებს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების სპეციფიკას, მის მახასიათებლებს და განვითარების ეტაპებს და გამოკვეთს მხატვრულ ტენდენციებს; აფასებს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმდინარე, თანამედროვე პროცესებსა და ტენდენციებს; '" შინაარსობრივად ურთიერთგადამფარავია და აჯობებს გაერთიანდეს შემდეგნაირად: „აანალიზებს და აფასებს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების სპეციფიკას, მის მახასიათებლებს და განვითარების ეტაპებს, თანამედროვე პროცესებს და გამოკვეთს მხატვრულ ტენდენციებს;"
- ასევე პუნქტიდან 4.1. სწავლის შედეგების შეფასება ამოღებულ იქნეს შემდეგი აბზაცი, რადგან ისედაც ითვალისწნებს საქართველოს კანონმდებლობა: „საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება უფლებამოსილია სასწავლო კურსისა და სწავლების კონკრეტული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე თავად განსაზღვროს აკადემიური აქტივობების რაოდენობა და ქულობრივი რანჟირება."

დაადგინეს

საბჭომ გაიზიარა ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრება და დოკუმენტი დაკორექტრდა შემოთავაზებული ფორმულირებებისამებრ.

მოისმინეს

- ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენლის, ნინო გოგლიჩიძის რეკომენდაციები, კერძოდ: სწავლის სფეროს აღწერაში, მე-3 აბზაცში უნდა დაკონკრეტდეს რომელია ქორეოგრაფიის მომიჯნავე დისციპლინები და დაემატოს შემდეგ ფორმულირებას: „დარგის სინთეზურობიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკა სასურველია ითვალისწინებდეს მომიჯნავე შემოქმედებითი, დამხმარე დისციპლინებისა და ციფრული ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნას."
- ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგების უნარის კომპონენტში მითითებულ შედეგში: „არსებული გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე ახდენს ქორეოგრაფიული დადგმის ინტერპრეტაციას, ჩანაფიქრის ახსნა/გაზიარებას შემოქმედებით ჯგუფთან, შესაბამისი საშემსრულებლო ლექსიკის ჩვენებას ხასიათის მითითებით; ახდენს ქორეოგრაფის უნარების, პროფესიული ტექნიკისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას" უნდა დაკორექტირდეს ფორმულირება „ლექსიკის ჩვენებას ხასიათის მითითებით" საკითხზე მოსაზრებები გამოთქვეს მირანდა ბაღდადიშვილმა, ეკატერინე გელიაშვილმა, ნატალია თვალჭრელიძემ, ანდრო ენუქიძემ და

თინათინ ქოიავამ. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნისნული მოსაზრება ფორმულირების კორექტრებასთან დაკავშირებით.

- ბაკალავტრიატის საფეხურის უნარის კომპონენტში მოცემულ შედეგში: „დაგროვილი ცოდნისა და პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების საფუძველზე იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას; დამოუკიდებლად მუშაობს შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფთან პროცესის ორგანიზების, რეპეტიციის დაგეგმვის, წარმართვის მიმართულებით“. მიზანშეწონილია „იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას“ წინადადების ბოლოს იქნეს გადატანილი ხოლო სწავლის შედეგი: „საბიბლიოთეკო რესურსების, ელექტრონული სამეცნიერო და საარქივო ბაზების საშუალებით მოიძიებს რელევანტურ წყაროებს და მათი ანალიზის საფუძველზე ქმნის (მცირე ფორმატის) კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს;“ უნდა გადავიდეს უნარის ბოლო პუნქტად რადგან ტრასფერული უნარების ამსახველი შედეგია და ლოგიკურად აჯობებს თუ დაიწერება დარგობრივი უნარების შემდომ.
- დამატებითი ინფორმაციის 1-ელ აბზაცში: „ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე ქორეოგრაფიის სწავლება ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მეცნიერ-პედაგოგების ხელმძღვანელობით და დოქტორანტ–მკვლევარების აქტიური ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი უმაღლესი/პროფესიული განათლება.“ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვა „პროფესიული“ რადგან მეორე აბზაცში დაკონკრეტებულია რა კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მქონე პირს აქვს პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის უფლება.

დაადგინეს

საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი რეკომენდაციები:

- სწავლის სფეროს აღწერაში, მე-3 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „დარგის სინთეზურობიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკა სასურველია ითვალისწინებდეს მომიჯნავე შემოქმედებითი (სამსახიობო ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება, ქორეოლოგია, თეატრის რეჟისურა და ა.შ.), დამხმარე დისციპლინებისა და ციფრული ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნას.“
- ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგების უნარის კომპონენტში განხილული შედეგი, მისი შინაარსის კომპლექსურობიდან გამომდნარე გაიყო ორ ნაწილად და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „არსებული გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე ახდენს ქორეოგრაფიული დადგმის ინტერპრეტაციას, ჩანაფიქრის ახსნა/გაზიარებას შემოქმედებით ჯგუფთან, შესაბამისი საცეკვაო ლექსიკის გამოყენებით აღწერს და აჩვენებს შესრულების ხასიათს; ახდენს ქორეოგრაფის უნარების, პროფესიული ტექნიკისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას;“

- საბჭომ გაზიარა მითითებული რეკომენდაციები და შედეგი „საბიბლიოთეკო რესურსების, ელექტრონული სამეცნიერო და საარქივო ბაზების საშუალებით მოიძიებს რელევანტურ წყაროებს და მათი ანალიზის საფუძველზე ქმნის (მცირე ფორმატის) კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს;“ განთავსდა ბაკალავრიატის საფეხურის უნარის ბოლო პუნქტად. ხოლო უნარის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „დაგროვილი ცოდნისა და პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების საფუძველზე დამოუკიდებლად მუშაობს შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფთან პროცესის ორგანიზების, რეპეტიციის დაგეგმვის, წარმართვის მიმართულებით იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას“

- საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი რეკომენდაცია და დამატებითი ინფორმაციის 1-ლი აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე

ქორეოგრაფიის სწავლება ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მეცნიერ-პედაგოგების ხელმძღვანელობით და დოქტორანტ–მკვლევარების აქტიური ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი უმაღლესი განათლება.“

მოისმინეს

თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ნატალია თვალჭრელიძემ კითხვით მიმართა საბჭოს, დოკუმენტთან დაკავშირებით ვინმეს ხომ არ ჰქონდა მოსაზრებები და კომენტარები, რაზეც არ გამოთქმულა არცერთი წინადადება და შენიშვნა,

დაადგინეს

თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებლის დოკუმენტი დარჩეს უცვლელი.

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ნატალია თვალჭრელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს მიერ შემუშავებული შემდეგი 4 დარგობრივი მახასიათებლის:

- თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი;
- თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი;
- ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი;
- სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;

დამტკიცებასთან დაკავშირებით ცენტრის დირექტორისთვის დადებითი რეკომენდაციის მიცემის საკითხი დათქმით რომ დარგობრივი მახასიათებლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დაადგინეს

საბჭოს დამსწრე წევრებმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირეს ცენტრის დირექტორისთვის დადებითი რეკომენდაციის მიცემას საბჭოს მიერ შემუშავებული

4 დარგობრივი მახასიათებლის:

1. თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი;
2. თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი;

3. ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი;
4. სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;

დამტკიცებასთან დაკავშირებით, დათქმით, რომ დარგობრივი მახასიათებლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

- დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლები ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N1-ის (თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი), დანართი N2-ის (თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი), დანართი N 3-ის (ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარობრივი მახასიათებელი), დანართი N 4-ის (სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი) შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 16:00-ზე.

საბჭოს თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ნატალია თვალჭრელიძე _____

საბჭოს მდივანი

მირანდა ბაღდადიშვილი _____

დანართი N1

დანართი

თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2022

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიურ სტანდარტს თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების 1-ლი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, მათ მისაღწევად საჭირო, სწავლება სწავლა შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებელებს.

დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს.

თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და დასაქმებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი აწესებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების სავალდებულო, მინიმალურ სტანდარტს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე უფრო მაღალი დონის სწავლის შედეგები განსაზღვრონ.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა – Subject Benchmark Statement of Theatre, Directing (drama, musical theatre, pantomime, puppetry);

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- **აბიტურიენტისთვის,** რომელსაც სურს შეისწავლოს სათეატრო ხელოვნება, თეტრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) ;
- **სტუდენტისთვის**, რომელსაც აინტერესებს თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- **დამსაქმებლისთვის,** რომელსაც სურს შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება და დაინტერესებულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- **განათლების სფეროს ექსპერტთათვის,** რომლებსაც პერიოდულად ევალებათ დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი;
- წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარება/განხორციელების პროცესებში ჩართული **აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის.**

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ამ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატებითი სწავლის შედეგები, დეტალური შინაარსი, ასევე სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები.

თეტრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) დარგობრივი მახასიათებელი ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

II. სწავლის სფეროს აღწერა

თეატრის რეჟისურა არის ხელოვნების დარგი, რომელიც გულისხმობს საშემსრულებლო ხელოვნების ნიმუშის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად (მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეორაფი, მსახიობი და ა.შ.) შექმნას და ამ შექმოქმედებითი პროცესის მართვას. თეატრის რეჟისურა თავის თავში მოცავს მჭიდრო კავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან (ლიტერატურა, მუსიკა, ვოკალი, მხატვრობა, ქორეოგრაფია, სამსახიობო ხელოვნება), რაც განაპირობებს დარგის ინტერდისციპლინარულ ხასიათს.

სწავლების პროცესში სტუდენტი ეუფლება ერთის მხრივ თეორიულ ცოდნას თეატრალური ხელოვნების ფართო ისტორიულ, სოციოლოგიურ, ესთეტიკურ და ანალიტიკურ კონტექსტში, ხოლო მეორეს მხრივ იძენს დარგისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. საგანმანათლებლო პროგრამები თეატრის რეჟისურის მიმართულებით უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ახალი ცოდნის გადაცემას საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვისა და მსოფლმხედველობის განვითარებისათვის, რაც ქართულ და უცხოურ თეატრალურ სივრცეში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას შეუწყობს ხელს.

თეატრის რეჟისურის მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე, მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში.

უმაღლესი განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე, სწავლის სფერო „თეტრის რეჟისურის“ აძლევს პროფესიულ საბაზისო ცოდნასა და ძირითად უნარებს.

უმაღლესი განათლების მეორე (სამაგისტრო) საფეხურზე, სწავლის სფერო „თეტრის რეჟისურის“ უზრუნველყოფს პროფესიული ღრმა ცოდნისა და უნარების განვითარებას დარგში არსებული პრობლემებისა და მიღწევების იდენტიფიცირებისა და გაანალიზების გზით, შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებას.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას.

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები განსაზღვრავს მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება უფლებამოსილია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, სამ

კატეგორიად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული

ცოდნა და გაცნობიერება

- ავლენს თეატრალური ხელოვნების ძირითადი თეორიების, პრინციპების, ტერმინოლოგიისა და კონცეფციების ზოგად ცოდნას, მსჯელობს თეატრის მნიშვნელობაზე საზოგადოების ცხოვრებაში;
- აანალიზებს თეატრალურ ხელოვნებას, როგორც ინტერ და მულტიდისციპლინურ და მულტიკულტურულ მოვლენას და განიხილავს ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და ესთეტიკურ კონტექსტში;
- ახდენს რეჟისურის საბაზისო ელემენტების, მსახიობებთან მუშაობის, სცენაზე ორგანული მოქმედების მიღწევის, მსახიობის ვერბალურ–პლასტიკური მოქმედების სწორად წარმართვის და მისი თეატრალური წარმოდგენის კონცეფციისა და ამოცანისადმი დაქვემდებარების პრინციპების ცოდნის დემონსტრირებას;

უნარი

- თეატრალური ხელოვნების თეორასა და ძირითად პრინციპებს იყენებს შემოქმედებით და საშემსრულებლო პრაქტიკაში;
- განსაზღვრავს პიესის ფორმასა და სტრუქტურას, სხვადასხვა თეატრალურ სტილებისა და ჟანრებს და ქმნის ლიტერატურული პირველწყაროს სარეჟისორო ექსპლიკაციას;
- მომავალი წარმოდგენის ყველა კომპონენტის სინთეზური ხედვით, ქმნის თეატრალურ დადგმას;
- აფასებს შემოქმედებით ჯგუფის (მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი, მსახიობი, განათების რეჟისორი და ა.შ.) კომპეტენციებსა და შესაძლებლობებს მათთან თანამშრომლობის მიზნით.
- მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, აკადემიური სტანდარტების დაცვით აყალიბებს დასკვნებს დარგობრივ საკითხებზე და ახდენს მიღებული დასკვნების პრეზენტირებას ზეპირად და წერილობით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- საქმიანობის გამხორციელებისას იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგულაციებს;
- ახდენს საკუთარი და სხვების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს;
- ხელმძღვანელობს შემოქმედებით სამუშაო პროცესს, იღებს პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებებზე.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- ავლენს თეატრალური ხელოვნების სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც იძლევა ახალი, ორიგინალური შემოქმედებითი იდეების შემუშავების შესაძლებლობას და მსჯელობს სათეატრო ხელოვნების არსის, დარგის პრინციპებისა და კულტურისა და ქვეყნის განვითარებაში თეატრის როლის შესახებ;
- ავლენს მსოფლიო კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო/დრამატურგიული მემკვიდრეობისა თეატრალურ წარმოდგენაში ქმედით ენაზე გადაყვანის მეთოდოლოგიისა და სცენაზე ქცევის კულტურის ცოდნას;
- ახდენს თეატრის შემოქმედებითი და სარეპერტუარო პოლიტიკის დაგეგმვის პრინციპების ცოდნის დემონსტირებას.

უნარი

- სპექტაკლების დადგმისთვის იყენებს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარებს: აგროვებს და სიღრმისეულად აანალიზებს თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მონაცემებს (ლიტერატურული პირველწყაროს შინაარსობრივი, კონცეპტუალური მხარე, ავტორისეული ინდივიდუალობა, იკონოგრაფიული მასალები, ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი და სხვ.)
- ქმნის თეატრალურ წარმოდგენას და მუშაობს პრაქტიკოს დამდგმელ რეჟისორად სხვადასხვა თეატრალურ სტილებსა თუ ჟანრებში (დრამატული, მუსიკალური და თოჯინური სპექტაკლები, პერფორმანსი, კონცერტი, ოპერა და ა.შ);
- გეგმავს და წარმართავს დადგმის პროცესს როგორც მის საწყის, ისე ძირითად და პოსტპროდუქციის ეტაპზე;
- მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, აკადემიური სტანდარტების დაცვით ქმნის სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს ახდენს მის პრეზენტირებას;
- სხვებისთვის ცოდნის გაზიარებისა და სწავლების პროცესში იყენებს თეატრალური ხელოვნების დამდგმელი რეჟისორის პროფესიისა და თეატრალური ხელოვნების სწავლების მეთოდოლოგიის ღრმა და სისტემურ ცოდნას;
- ამყარებს ეფექტიან კომუნიკაციას შემოქმედებით და სადადგმო ჯგუფთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, მაყურებელთან, მასმედიასთან, თეატრის ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და ა.შ.;
- აფასებს და ადეკვატურად იყენებს შემოქმედებითი ჯგუფის შესაძლებლობებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- თანმიმდევრულად გეგმავს და მრავალმხრივ აფასებს საკუთარ და სხვის შემოქმედებითი დაოსტატებას, შემდგომი სწავლის საჭიროებებს;
- იცავს საავტორო უფლებებითან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგულაციებს და თეატრალური ხელოვნების სფეროში მიღებულ ეთიკურ პრინციპებს.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს როგორც დარგობრივი თეორიული ცოდნისა და პრატიკული უნარ-ჩვევების, ისე ტრანსფერული უნარების განვითარებას. თეატრის რეჟისურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები შესაბამისი ხვედრითი წილით იყოს წარმოდგენილი.

შეფასების მთოდები უნდა მოიცავდეს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებასა და შესაძლებლობას, რაც სამომავლოდ საშუალებას მისცემს სტუდენტებს, განსაზღვრონ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სრულყოფის გზები.

4.1. სწავლება-სწავლის მეთოდები

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის ფარგლებში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სწავლის, სწავლებისა და შეფასების ის მეთოდები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება უფლებამოსილია სასწავლო-შემოქმედებითი ამოცანიდან გამომდინარე, წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში წარმოდგენილი, ან/და სხვა მეთოდები გამოიყენოს.

სწავლა-სწავლების პროცესში თეატრის რეჟისურის საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლებელია ითვალისწინებდეს აკადემიური სწავლების შემდეგ მეთოდებს:

- ლექცია-სემინარი;
- ვერბალური და წერითი მეთოდი;
- ლიტერატურულ პირველწყაროზე მუშაობა;
- ანალიზი და სინთეზი;
- გონებრივი იერიში;
- დისკუსია და დებატები;
- ინდივიდუალური მუშაობა;
- წყვილებში და ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- როლური თამაშები;
- პრაქტიკული მუშაობა;
- კეთებით სწავლება;
- ურთიერთსწავლება;
- ურთიერთშეფასება;

- რეპეტიცია;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- საკურსო და დამამთავრებელი/საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის/სპექტაკლის შექმნა და საჯარო წარდგენა;
- და სხვ.

4.2. სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგების შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და შესაძლებელია მოიცავდეს ქვემოთჩამოთვლილ რეკომენდებულ ან/და სხვა მეთოდებს:

წერითი მეთოდი: ლიტერატურული პირველწყაროს ანალიზი, სარეჟისორო ექსპლიკაცია, ტესტი, ესე, რეფერატი, რეფლექსია, ეტიუდის აღწერილობა და სხვა.

ვერბალური მეთოდი: ზეპირი გამოკითხვა დისკუსია, დებატები, ზეპირი პრეზენტაცია და და სხვა.

საჯარო წარდგენა: რეპეტიცია, ეტიუდი, ნაწყვეტი, ერთაქტიანი სპექტაკლი, დიდი დრამატურგიული ფორმის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი და სხვა.

სწავლა-სწავლების პროცესის დასკვნითი ნაწილია შეფასება, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვან, განმავითარებელ, განმსაზღვრელ და შემაჯამებელ ეტაპს. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტუდენტის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში, სისტემატიური დასწრება მეცადინეობებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მის მიერ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ სიტუაციებში.

რეკომენდებული შეფასების კომპონენტები:

- დასწრება-ჩართულობა;
- აქტივობა;
- შუალედური გამოცდა;
- ფინალური გამოცდა ;
- საკურსო და საკვალიფიკაციო პროექტი;
- სარეჟისორო ექსპლიკაცია;
- წარმოდგენა;
- და სხვა.

V. დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და განვითარებას.

თეატრის რეჟისურის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შესაძლოა უზრუნველყოს, როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიურმა პერსონალმა, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეულმა სპეციალისტებმა. რეკომენდებულია პროგრამის შემოქმედებითი/პრაქტიკული კომპონენტების სწავლებაში ჩართული პირებს ჰქონდეთ მუშაობის გამოცდილება შესაბამისი მიმართულებით.

თეატრის რეჟისურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური ბაზა:

- აუდიტორიები და სარეპეტიციო დარბაზები როგორც ლექცია-სემიარებისთვის, ისე სამაგიდე და ძგიდეებში მიზანსცენური რეპეტიციებისთვის;
- ტექნიკური აღჭურვილობა: გახმოვანება, განათების სისტემები, მულტიმედია პროექტორები;
- შესაბამისი დეკორაცია, კოსტიუმი და რეკვიზიტი;
- საგრიმიორო, გასახდელი;
- საშხაპეები;
- სცენა;
- კულისები;
- ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზით;
- კომპიუტერული კლასი.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, თეატრის რეჟისურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დადგმული თითოეული საკურსო/სადიპლომო სპექტაკლისთვის უნდა გაითვალისწინოს სადადგმო ხარჯი.

სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს სასწავლო თეატრი სცენით, შესაბამისი აღჭურვილობითა და საამქროებით (სამკერვალო, სადეკორაციო და ა.შ.), რომელიც შეესაბამება პროფესიული თეატრის სტანდარტებს.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო ლიპარტიანი	სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მსახიობის

			ოსტატობის და რეჟისურის მიმართულებით, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
2.	მირანდა ბაღდადიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი
3.	თამარ ბერიძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი
4.	თამარ ცაგარელი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის კურატორი
5.	თინათინ ქათამაშვილი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	დრამის რეჟისურის დოქტორანტი, ასისტენტ - პროფესორი
6	ეკატერინე გელიაშვილი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, ქორეოგრაფი, დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ა(ა)იპ ეროვნული

			ქორეოგრაფიის ცენტრი „გე არტ" გენერალური დირექტორი
7	ანა სამსონაძე	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელოვნებო და კულტურის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი
8	ივანე ხუციშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" ავტორი და ხელმძღვანელი
9	ლაშა ჩხარტიშვილი	ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის ასოცირებული პროფესორი
10	თინათინ ქოიავა	თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის

			დირექტორი, საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენოსანი
11	ზვიად ბაქრაძე	სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლი	დირექტორი
12	ნინო ტურაბელიძე	სტილიზებულ ფოლკორის თეატრი „ნაბადი“	დამფუძნებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი
13	დიმიტრი ხვთისიაშვილი	ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ა(ა)იპ შემოქმედებით კავშირ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
14	ოთარ ბაღდავაძე	სსიპ - საქართველოს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ერისიონი	სოლისტი მოცეკვავე
15	ნატალია თვალჭრელიძე	ილიაუნის თეატრი	ილიაუნის თეატრის დირექტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
16	ავთანდილ ვარსიმაშვილი	სსიპ - სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი; სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

			სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის რეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი, თავისუფალი თეატრის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. კინოსტუდია „Vars-studio“-ს დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. „შექსპირის თეატრის საერთაშორისო ასოციაციის" (აშშ) სრულუფლებიანი წევრი
17	ზაზა სოფრომაძე	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
18	არჩილ ჭოტაშვილი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	კულტურის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
19	ეკატერინე ბაკურაძე	შპს მოძრაობის თეატრის ივენთები	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
20	ლია კევლიშვილი	სსიპ - გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი	მსახიობი
21	ანდრო ენუქიძე	სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი, არტ მენეჯმენტის დოქტორი, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის

			ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი; ბათუმის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორთა/ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

დანართი N 2

დანართი

თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2022

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიურ სტანდარტს თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) უმაღლესი განათლების 1-ლი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და განსაზღვრავს სწავლის შედეგებს მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო, სწავლება სწავლა შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებელებს.

დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს.

თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და დასაქმებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების სავალდებულო, მინიმალურ მოთხოვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე უფრო მაღალი დონის სწავლის შედეგები განსაზღვრონ.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელი.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა – Subject Benchmark Statement of Theatre Studies and Choreology.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს შეისწავლოს თეატროლოგია ან ქორეოლოგია (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია);

- სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისთვის, რომელსაც სურს შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება და დაინტერესებულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი;
- წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარება/განხორციელების პროცესებში ჩართული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება თეატროლოგიის ან/და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ამ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატებითი სწავლის შედეგები, დეტალური შინაარსი, ასევე სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები.

თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია) დარგობრივი მახასიათებლის შექმნა განპირობებულია ამ დოკუმენტით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებით.

უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სფეროს სპეციალისტების გადაწყვეტილებით, ტერმინ **თეატრმცოდნეობის** ნაცვლად, სწავლის სფეროს აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენებულია **თეატროლოგია / Theatre Studies.**

ტერმინი *თეატრმცოდნეობა* საბჭოთა ეპოქის სივრცეში ჩამოყალიბდა სამეცნიერო მიმოქცევაში, რომელიც ითარგმნა რუსულენოვანი ტერმინიდან - Театроведение. ამასთანავე, საერთაშორისო ასპარეზზე, ამ დარგის აღმნიშვნელ ტერმინებად ხშირად გვხვდება ტერმინები: Theatrology /თეატროლოგია, Theatre Science / სათეატრო მეცნიერება, History and theory of Theatre / თეატრის ისტორია და თეორია, Dramatica / დრამატიკა. საეთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითა და დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების მოსაზრებით სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული დეტალური სფეროს დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით **0215.1.3 თეატროლოგია / Theatre Studies.**

II. სწავლის სფეროს აღწერა

თეატროლოგია და ქორეოლოგია არის სახელოვნებო მეცნიერებათა დარგები, რომელთა მნიშვნელობა თეატრისა და ქორეოგრაფიის სფეროში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების შესწავლა-შეფასებას უკავშირდება და გულისხმობს საშემსრულებლო ხელოვნების ნიმუშის (სპექტაკლი, ცეკვა, პერფორმანსი,

სანახაობა და ა.შ.) მხატვრული და ისტორიული ღირებულების დადგენას. დარგები მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ისტორიის კვლევა, თეორიულ-მეთოდური შესწავლა და კრიტიკული შეფასება (ანალიზი), რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სახელოვნებო დარგების (თეატრი/ქორეოგრაფია) განვითარებას. ამ დარგების სინთეზური ბუნება განაპირობებს სწავლის სფეროების ინტერდისციპლინურ ხასიათს, მომიჯნავე დარგებთან (ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება და ა.შ.) მჭიდრო კავშირს.

სწავლების პროცესში სტუდენტი ეუფლება სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიასა და თეორიას და იძენს დარგისთვის აუცილებელ ანალიტიკოსის, კრიტიკოსის უნარებს, აღნიშნული პროფესიის განმსაზღვრელ საფუძვლებს. თეატროლოგიის/ქორეოლოგიის სასწავლო მოდულები უზრუნველყოფს თეატროლოგის/ქორეოლოგის მომზადებას თანამედროვე მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში. ამასთან, პროგრამები ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის სათეატრო/ქორეოგრაფიული სივრცისთვის კონკურენტუნარიანი პროფესიონალის აღზრდაზე.

კურსდამთავრებულის საბაკალავრო/სამაგისტრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას და შესაძლებლობას სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე.

დარგის მიზანია სტუდენტ თეატროლოგს/ქორეოლოგს გამოუმუშავოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მიმართ აქტიური ინტერესი, საკუთარი დამოკიდებულების დასაბუთებული გამოხატვის, თეატრალურ/ქორეოგრაფიულ მოვლენათა დამოუკიდებელი ხედვის და შეფასების უნარი, დაეხმაროს წერის და ზეპირი აზროვნების საკუთარი სტილის გამომუშავებაში; თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის არსის (ისტორია, თეორია, კრიტიკა) დაუფლებაში, თეატრის/ქორეოგრაფიის სპეციფიკას და სპექტაკლის/ქორეოგრაფიული წარმოდგენის შემადგენელ ყველა კომპონენტს (დრამატურგია, სარეჟისორო და სამსახიობო ხელოვნება, სცენოგრაფია, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფია, სასცენო მოძრაობა, მხატვრული განათება და ა.შ.) და მათი გაანალიზების შესწავლას; განასხვავოს სხვადასხვა მიმართულება, შეაფასოს მათი მნიშვნელობა, თანამედროვე სათეატრო/ქორეოგრაფიულ პროცესებში გამოყოს საერთო და ინდივიდუალური ნიშნები, თავისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში შეაფასოს მიმდინარე პროცესები.

თეატროლოგიის/ქორეოლოგიის დარგი შეისწავლის თეატრალურ/ქორეოგრაფიულ ესთეტიკას, მისი ფორმირების თავისებურებებს და განვითარების ეტაპებს, ძირითად კანონზომიერებებს, ცნებებს, სპეციფიკურ ტერმინოლოგიას, ხელოვნების სკოლებს, სტილებს, მიმართულებებს, საშემსრულებლო ხელოვნებასთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ იდეებს, თეატრალური/ქორეოგრაფიული ხელოვნების სინთეზურ ბუნებას და მის ორგანულ კავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან.

უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურზე, სწავლის სფერო თეატროლოგია/ქორეოლოგია აძლევს პროფესიულ საბაზისო ცოდნასა და ძირითად უნარებს.

უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურზე, სწავლის სფერო თეატროლოგია/ქორეოლოგია უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას დარგში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გაანალიზების გზით, სამეცნიერო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.

III. სწავლის შედეგები

თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ სავალდებულო მინიმალურ კომპეტენციებს, რომლებიც წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროების

შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს პროგრამაზე სწავლის დასრულებისას ექნება.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული:

- ავლენს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდების ცოდნას; განსაზღვრავს სათეატრო / ქორეოგრაფიული ხელოვნების ძირითად მიმდინარეობებს, სტილებს, თეორიულ დებულებებს.
- განასხვავებს ტრადიციულ, კლასიკურ და თანამედროვე საშემსრულებლო ფორმებს; განსაზღვრავს ქართულ და მსოფლიოს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების ისტორიულ-მხატვრულ კონტექსტსა და ეტაპებში;
- განსაზღვრავს სათეატრო/ქორეოგრფიული ხელოვნების თეორიის ფუნდამენტურ პრინციპებს, თეატრის/ქორეოგრაფიული ხელოვნების კრიტიკის საფუძვლებს, კრიტიკული აზრის განვითარების ძირითად ეტაპებს და მიდგომებს, მის თანამედროვე ასპექტებს;
- სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშის შეფასების მიზნით წერს მიმოხილვას, რეცენზიას, ესეის, ანალიტიკურ სტატიას, განსაზღვრავს მის მხატვრულ ღირებულებას და ადგილს თანამედროვე სახელოვნებო სფეროს კონტექსტში;
- განიხილავს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ და სოციალურ კონტექსტს;
- აანალიზებს და აფასებს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების სპეციფიკას, მის მახასიათებლებს და განვითარების ეტაპებს, თანამედროვე პროცესებს და გამოკვეთს მხატვრულ ტენდენციებს;
- სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიის ფუნდამენტური პრინციპების გამოყენებით კრიტიკულად და ანალიტიკურად აფასებს სათეატრო/ქორეოგრაფიულ ხელოვნებას;
- ამზადებს სათეატრო/ქორეოგრაფიული თემატიკის რეფერატს, საკონფრენციო ნაშრომს წერითი ნაშრომის აკადემიური სტანდარტების დაცვით და წარმოადგენს პრეზენტაციას;
- დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. ორგანიზებას უწევს მცირე ჯგუფის მუშაობას;
- იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს და პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმიანობას; აფასებს კულტურის/ ხელოვნების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული:

- აღწერს თეატრის/ქორეოგრაფიის ისტორიის განვითარების ეტაპებს და ძირითად ტენდენციებს. განსაზღვრავს პრაქტიკული (დადგმები) და თეორიული ნაშრომების (კვლევები) მნიშვნელობასა და მათ ურთიერთმიმართებას;

- დეტალურად განსაზღვრავს ხელოვნების ნიმუშის სტრუქტურას და ავლენს ცოდნას სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშის შექმნის (დადგმის პროცესის) თავისებურებების შესახებ;
- ახდენს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშის შეფასების მეთოდებისა და ფორმების კლასიფიცირებას.
- წერს რეცენზიას, მიმოხილვას, ანალიტიკურ წერილს, რომელშიც არგუმენტირებული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველზე ადგენს სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშის მხატვრულ ღირებულებას;
- აანალიზებს სათეატრო/ქორეოგრაფიულ პროცესებს, არსებულ ტენდენციებსა და შემოქმედებით პრობლემებს; განსაზღვრავს მათ როლს ზოგადკულტურულ და ისტორიულ ჭრილში ქვეყნის თუ მსოფლიო მასშტაბით;
- ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას სათეატრო/ქორეოგრაფიული ხელოვნების სივრცეში და სახავს ამ პრობლემის გადაჭრის გზებს;
- საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში, ისტორიულ-ლიტერატურულ და აუდიო-ვიზუალურ წყაროებზე დაყრდნობით, ახდენს სათეატრო/ქორეოგრაფიული თემატიკის საკვლევი მასალის სისტემატიზირებასა და კატალოგიზაციას;
- ამზადებს სათეატრო/ქორეოგრაფიული თემატიკის კვლევითი ხასიათის ან/და საკონფერენციო ნაშრომს, რეფერატს; ნაშრომზე მუშაობისას ითვალისწინებს სტილისტურ მახასიათებლებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და წარმოადგენს პრეზენტაციას;
- დამოუკიდებლად გეგმავს, აწარმოებს კვლევით თუ სხვა სახის თეატროლოგიურ/ქორეოლოგიურ პროფესიულ საქმიანობას. ორგანიზებას უწევს ჯგუფის მუშაობას;
- პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვითა და პასუხისმგებლობით წარმართავს საკუთარ საქმიანობას. მონაწილეობს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი კულტურული ღირებულებების ფორმირების პროცესში.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლება, სწავლისა და შეფასების მეთოდები წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და ორიენტირებულია სტუდენტის კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. სწავლება, სწავლის მეთოდები ითვალისწინებენ დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, ადექვატური შეფასების მიდგომები/კრიტერიუმები საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის ათვისებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი (დონე).

სწავლა-სწავლების პროცესში თეატროლოგიის ქორეოლოგიის პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური სწავლების შემდეგ ფორმებს: ლექცია-სემინარი, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული, ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობები, საკურსო და დამამთავრებელი/საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება.

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. მიზანშეწონილია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. რეკომენდებულია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- ვერბალური მეთოდი;
- დემონსტრირების / სტუდიურ-შემოქმედებითი მეთოდი;
- თეორიული ანალიზის მეთოდი;
- სასწავლო მასალასთან დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი / წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- პრეზენტირების მეთოდი;
- დისკუსია / დებატების მეთოდი;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები;
- შედარებითი ანალიზის მეთოდი.

მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო–შემოქმედებითი ამოცანიდან გამომდინარე შეირჩეს სწავლების სხვა მეთოდებიც.

4.1. სწავლის შედეგების შეფასება

სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება მრავალკომპონენტიანი სისტემაა. აკადემიური აქტივობები ფასდება ქულებით (მაქსიმალური -100 ქულა). გამოიყენება დადებითი ქულების რანჟირების და დაგროვების პრინციპიები.

<u>**რეკომენდებული შეფასების კომპონენტები:**</u>

- დასწრება-აქტივობა,
- თეორიული/პრაქტიკული დავალების შესრულება,
- შუალედური გამოცდა,
- სტაჟირება,
- ფინალური გამოცდა და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამეის განმახორციელებელი დაწესებულება უფლებამოსილია სასწავლო კურსისა და სწავლების კონკრეტული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე თავად განსაზღვროს აკადემიური აქტივობების რაოდენობა და ქულობრივი რანჟირება.

<u>**რეკომენდებული შეფასების მეთოდები:**</u>

- ზეპირი განხილვა, დებატები (ზეპირი);
- გამოკითხვები წინასწარი მომზადების გარეშე (ზეპირი ან წერილობითი);
- ტესტირება (წერილობითი);
- საკურსო ნაშრომი (წერილობითი);

- ესეი, კრიტიკული წერილი, რეფერატი და სხვ.;
- პროექტის პრეზენტაცია (ჯგუფური და/ან ინდივიდუალური პრეზენტაცია);
- ტექსტის ანალიზი (ზეპირი და წერილობითი);
- გამოცდა (ზეპირი და წერილობითი).

<u>აკადემიური აქტივობის (წერითი ნაშრომის) ძირითადი შეფასების კრიტერიუმები:</u>

- შინაარსობრივი სრულყოფილება;
- სტრუქტურული/ლოგიკური გამართულობა;
- სტილისტური გამართულობა;
- წერის აკადემიური პრინციპების დაცვა;
- ორიგინალური/კრეატიული აზროვნება;
- შედარებითი და კონტექსტუალური ანალიზის გამოყენება;
- პრეზენტაბელურობა (გამართული ენით საუბარი, კითხვა-პასუხის წარმართვა).

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. პერსონალის კვალიფიკაცია

უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლის სფეროს „თეატროლოგია/ქორეოლოგია“ პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაცია განსაზღვრულია კანონმდებლობით: აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) - შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხი; ასისტენტისთვის - დასაშვებია შესაბამისი მიმართულების დოქტორანტის სტატუსი.

სასურველია ქორეოლოგიის მიმართულებით აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ქორეოგრაფიის მიმართულებით პრაქტიკული საშემსრულებლო გამოცდილება.

5.2. მატერიალურ -ტექნიკური ბაზა

თეატროლოგიის / ქორეოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესის წარმართვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამეცნიერო ბიბლიოთეკის არსებობა:

- შესაბამისი მიმართულების წიგნადი ფონდით;
- აუდიო-ვიზუალური მასალების (სპექტაკლების, წარმოდგენების, საკონცერტო პროგრამების ჩანაწერები და ა.შ.) ფონდით;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო და საარქივო მასალებით;
- შესაბამისი ტექნიკური აპარატურით (კომპიურეტები, პრინტერი, სკანერი და ფოტოდა ვიდეო კამერა ა.შ.).

5.3. სათეატრო / ქორეოლოგიური პრაქტიკა

თეატროლოგიის/ქორეოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესი მოიცავს სათეატრო/ქორეოლოგიურ პრაქტიკას:

- სათეატრო და ქორეოგრაფიულ წარმოდგენებზე დასწრება;
- თეატრალურ/ქორეოგრაფიულ ფესტივალებზე, ფორუმებზე, ვორქშოპებზე დასწრება;
- საველე მუშაობაში მონაწილეობა, რეგიონულ თეატრებში ვიზიტი, ექსპედიციებში მონაწილეობა;
- სარეპეტიციო პროცესებზე დასწრება.

5.4. ინტერნაციონალიზაცია

თეატროლოგიის/ ქორეოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირება:

- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზებით სარგებლობა;
- საერთაშორისო კონკურსებში და ფესტივალებში მონაწილეობა.

5.5. მარეგულირებელი დოკუმენტები

სწავლის სფერო რეგულირდება საგანმანათლებლო მიმართულების საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და კულტურის სფეროში არსებული შესაბამისი მიმართულების ნორმატივებით.

5.6. დასაქმება

თეატროლოგიის/ქორეოლოგიის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: თეატრები, მუზეუმები, ანსამბლები, მედიასივრცე, პრესა, ტელევიზია, ინტერნეტგამოცემები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბიბლიოთეკები, საჯარო სამსახური კულტურის მიმართულებით და ა.შ.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო ლიპარტიანი	სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის მიმართულებით, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული

			თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
2.	მირანდა ბაღდადიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი
3.	თამარ ბერიძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი
4.	თამარ ცაგარელი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური სახლ-მუზეუმის კურატორი
5.	თინათინ ქათამაშვილი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	დრამის რეჟისურის დოქტორანტი, ასისტენტ - პროფესორი
6	ეკატერინე გელიაშვილი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, ქორეოგრაფი, დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ა(ა)იპ ეროვნული ქორეოგრაფიის ცენტრი „გე არტ" გენერალური დირექტორი
7	ანა სამსონაძე	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის

			განვითარების ეროვნული ცენტრის სახელოვნებო და კულტურის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი
8	ივანე ხუციშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" ავტორი და ხელმძღვანელი
9	ლაშა ჩხარტიშვილი	ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის ასოცირებული პროფესორი
10	თინათინ ქოიავა	თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის დირექტორი, საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენოსანი
11	ზვიად ბაქრაძე	სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლი	დირექტორი
12	ნინო ტურაბელიძე	სტილიზებულ ფოლკორის თეატრი „ნაბადი“	დამფუძნებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი
13	დიმიტრი ხვთისიაშვილი	ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ა(ა)იპ შემოქმედებით კავშირ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე,

			სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
14	ოთარ ბაღდავაძე	სსიპ - საქართველოს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ერისიონი	სოლისტი მოცეკვავე
15	ნატალია თვალჭრელიძე	ილიაუნის თეატრი	ილიაუნის თეატრის დირექტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
16	ავთანდილ ვარსიმაშვილი	სსიპ - სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი; სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის რეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი, თავისუფალი თეატრის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. კინოსტუდია „Vars-studio“-ს დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. „შექსპირის თეატრის საერთაშორისო ასოციაციის" (აშშ) სრულუფლებიანი წევრი
17	ზაზა სოფრომაძე	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
18	არჩილ ჭოტაშვილი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	კულტურის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
19	ეკატერინე ბაკურაძე	შპს მოძრაობის თეატრის ივენთები	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
20	ლია კევლიშვილი	სსიპ - გორის გიორგი ერისთავის სახელობის	მსახიობი

		სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი	
21	ანდრო ენუქიძე	სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი, არტ მენეჯმენტის დოქტორი, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი; ბათუმის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორთა/ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

დანართი N3

ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2022

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიურ სტანდარტს ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების 1-ლი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და განსაზღვრავს სწავლის შედეგებსა და მათ მისაღწევად საჭირო, სწავლება სწავლა შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებელებს.

დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს.

ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და დასაქმებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე უფრო მაღალი დონის სწავლის შედეგები განსაზღვრონ.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა – Subject Benchmark Statement of Choreography.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- **აბიტურიენტისთვის,** რომელსაც სურს შეისწავლოს ქორეოგრაფია;
- **სტუდენტისთვის**, რომელსაც აინტერესებს თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს ქორეოგრაფიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- **დამსაქმებლისთვის,** რომელსაც სურს შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება და დაინტერესებულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- **განათლების სფეროს ექსპერტთათვის,** რომლებსაც პერიოდულად ევალებათ დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი;
- წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარება/განხორციელების პროცესებში ჩართული **აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის.**

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება ქორეოგრაფიის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ამ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატებითი სწავლის შედეგები, დეტალური შინაარსი, ასევე სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები.

ქორეოგრაფიის დარგობრივი მახასიათებელი შემუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ქორეოგრაფია მიეკუთვნება საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების სწავლის სფეროს, რომელიც მოიცავს ცეკვის შექმნას, დადგმას და მთლიანად საცეკვაო ხელოვნებას.

ქორეოგრაფიული სადადგმო პროცესის განხორციელება მიმდინარეობს უშუალოდ საცეკვაო ენასთან კავშირში პრაქტიკული, მეთოდური და თეორიული ასპექტებით, რომელიც შეიძლება მოიაზრებდეს სხვადასხვა სახეობებს (ხალხური, სასცენო-ხალხური, ისტორიულ-ყოფითი, სამეჯლისო, კლასიკური, თანამედროვე).

დარგის სინთეზურობიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკა სასურველია ითვალისწინებდეს მომიჯნავე შემოქმედებითი (სამსახიობო ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება,ქორეოლოგია, თეატრის რეჟისურა და ა.შ.), დამხმარე დისციპლინებისა და ციფრული ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნას.

პროგრამის შესწავლისას, თეორიულ-მეთოდურ ნაწილთან ერთად, სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტია პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლის, საშემსრულებლო ტექნიკის ამაღლების, სარეპეტიციო/სადადგმო პროცესის წარმართვის გზით.

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებთან ერთად (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები, სადაც სხვადასხვა დავალებების შესრულებით, აბიტურიენტი წარმოაჩენს ქორეოგრაფიულ საშემსრულებლო და შემოქმედებით საბაზისო უნარებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი წინაპირობები.

საბაკალავრო საფეხური ქმნის წინაპირობას ამავე სფეროს მეორე, სამაგისტრო საფეხურისათვის, რომელშიც ხდება სწავლისა და კვლევის გაღრმავება, საშემსრულებლო-შემოქმედებითი ინტერესების გაფართოება შესაბამისი სახელოვნებო-სამეცნიერო კომპეტენციების ათვისებით.

ორივე საფეხურის პროგრამების მთავარი ამოცანაა სტუდენტები აზიარონ ქორეოგრაფიის უმთავრეს კონცეფციებს, თეორიებსა და მეთოდებს, რაც მიიღწევა სტუდენტების უშუალო პრაქტიკული მონაწილეობით, დარგობრივ პროექტებში ჩართულობის გზით.

ქორეოგრაფიის მიმართულებით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დასახელება ყალიბდება სწავლების დონის შესაბამისად შემდეგნაირად: ა) ხელოვნების ბაკალავრი ქორეოგრაფიაში, ხელოვნების მაგისტრი ქორეოგრაფიაში ან ბ) ქორეოგრაფიის ბაკალავრი, ქორეოგრაფიის მაგისტრი.

საქართველოში, ქორეოგრაფიული სფეროს შრომის ბაზარს მზარდი პოტენციალი გააჩნია, რაც მომავალ ქორეოგრაფებს უქმნის მოტივაციას ცოდნის მიღების პროცესში. ქორეოგრაფიის დარგობრივი მიმართულებების გათვალისწინებით (შემთხზველი, დამდგმელი, პედაგოგი, რეპეტიტორი) კარიერის პერსპექტივები ფართოა და მოიცავს დასაქმებას სხვადასხვა სექტორში: პროფესიული, ზოგადი ან უმაღლესი განათლების საფეხურზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად; სახელმწიფო თუ კერძო ქორეოგრაფიული ანსამბლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; შოუ-პროგრამები; თეატრალური და სატელევიზიო დადგმები; კინო ინდუსტრია და სხვა.

ამდენად, ქორეოგრაფის პროფესიული მოღვაწეობის სახეობები მოიცავს პედაგოგიურ, საშემსრულებლო-შემოქმედებით და მხატვრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები განსაზღვრავს მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, დამატებით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე უფლებამოსილია, სწავლის შედეგები, სამივე კომპონენტის (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად დაყოფის გარეშე.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული

- ავლენს ფართო ცოდნას ქორეოგრაფიული ხელოვნების საფუძვლების, საშემსრულებლო და სადადგმო ხერხების/პრინციპების შესახებ _ ქორეოგრაფიული ხელოვნების პირობითობის, შინაარსობრივი და ფორმისმიერი დიფერენცირების, კომპოზიციისა და ცეკვის სტრუქტურული ნაწილების, დარგობრივი ტერმინოლოგიის, სხვადასხვა მეთოდების, ხერხებისა და დადგმის პრინციპების შესახებ;
- აანალიზებს სადადგმო/სარეპეტიციო სამუშაოს განხორციელების ეტაპებს. განსაზღვრავს მუსიკალური და მხატვრული გაფორმების კომპონენტებს, ლიბრეტოს, პროგრამის, კომპოზიციური გეგმა-სცენარის არსს და განჭვრეტს მათი დამოუკიდებლად შექმნის ხერხებს;
- მსჯელობს მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ქორეოგრაფიული ნიმუშების თეორიისა და ისტორიის ძირითადი ასპექტების შესახებ, მსოფლიო ქორეოგრაფიის ისტორიას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში. ახდენს ცეკვის ჩაწერის სხვადასხვა სისტემების იდენტიფიცირებას.
- აჩვენებს და აანალიზებს როგორც ეროვნულ, ასევე, სხვადასხვა კულტურის ტრადიციული, კლასიკური და თანამედროვე საშემსრულებლო ლექსიკის ხასიათსა და შესრულების მეთოდიკას.

უნარი:

კურსდამთავრებული

- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად,სამუშაოს განსახორციელებლად იყენებს დარგისთვის სპეციფიკურ (ჩანაფიქრის შეთხზვის, მასალების მოძიების, ინფორმაციის სისტემატიზირების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის, ჩანახაზებისა და ჩანაწერების შექმნის, ქორეოგრაფიული ტექსტის, გეგმა-სცენარის შეთხზვისა და მუსიკალური მასალის ქორეოგრაფიული ანალიზის) უნარებს;
- არსებული გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე ახდენს ქორეოგრაფიული დადგმის ინტერპრეტაციას, ჩანაფიქრის ახსნა/გაზიარებას შემოქმედებით ჯგუფთან, შესაბამისი საცეკვაო ლექსიკის გამოყენებით აღწერს და აჩვენებს შესრულების ხასიათს;
- ახდენს ქორეოგრაფის უნარების, პროფესიული ტექნიკისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას;
- დაგროვილი ცოდნისა და პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების საფუძველზე დამოუკიდებლად მუშაობს შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფთან პროცესის ორგანიზების, რეპეტიციის დაგეგმვის, წარმართვის მიმართულებით იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას;.

- სადადგმო ჯგუფთან, დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი, წერილობითი, ვიზუალური კომუნიკაციისას ეფექტურად იყენებს მხატვრული/პლასტიკური გამომსახველობის ტექნიკებს, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- საბიბლიოთეკო რესურსების, ელექტრონული სამეცნიერო და საარქივო ბაზების საშუალებით მოიძიებს რელევანტურ წყაროებს და მათი ანალიზის საფუძველზე ქმნის (მცირე ფორმატის) კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ახდენს საკუთარი სწავლისა და სხვების შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებების დადგენას;
- იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემური კეთილსინდისიერების პრინციპებს, ეფექტიანად მართავს სამუშაო დროს;
- სარეპეტიციო და სადადგმო პროცესში უზრუნველყოფს აქტივობების განხორციელებას ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ახდენს ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას, და ავლენს ამ დარგში აპრობირებული კვლევის მეთოდების, ცნებებისა და კონცეფციების ცოდნას;
- აღწერს ეროვნული და მსოფლიო ქორეოგრაფიის მიღწევებს, მისი განვითარების ტენდენციებს. აანალიზებს და გამოკვეთს ქორეოგრაფიის თანამედროვე გამოწვევებს და სახავს მათი გადაჭრის გზებს;
- მხატვრულ - პედაგოგიური ამოცანებისა და პრობლემების ანალიზისას, ახასიათებს ძირითად საკვლევ საკითხებს, კრიტიკულად აანალიზებს სადადგმო-საშემსრულებლო მხატვრულ და პედაგოგიურ მეთოდებს და განსაზღვრავს მათი ინტერპრეტირების გზებს კულტურული და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

უნარი

კურსდამთავრებული:

- თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდების შესაბამისად, იყენებს დარგისთვის სპეციფიკურ უნარებს (ჩანაფიქრის შეთხზვა, მასალების მოძიება, ინფორმაციის სისტემატიზირება, ანალიზი

და ინტერპრეტაცია, ჩანახაზებისა და ჩანაწერების შექმნა, ქორეო-ტექსტის, გეგმა-სცენარის შეთხზვა, მუსიკალური მასალის ქორეოგრაფიული ანალიზი);

- არსებული გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე ახდენს რეპეტიციის/დადგმის ინტერპრეტაციას;
- ნაშრომზე მუშაობისას იყენებს დარგში აპრობირებულ მეთოდოლოგიას. ახდენს საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირებას დამოუკიდებლად ან/და ხელმძღვანელის დახმარებით.
- საბიბლიოთეკო რესურსების, ელექტრონული სამეცნიერო და საარქივო ბაზებზის გამოყენებით შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს; კონცეფციების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ქმნის (საშუალო ფორმატის) თეორიული/ პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს;
- მხატვრულ-შემოქმედებითი გამომსახველობის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებით, კვლევის შედეგებს წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას;
- დაგროვებული ცოდნისა და შეძენილი პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების საფუძველზე იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას; ვადების შესაბამისად ახდენს სამუშაოს ორგანიზებას, დამოუკიდებლად და კრეატიულად წარმართავს შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფთან მუშაობას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ახდენს თვითორგანიზების, ინიციატივისა და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების დემონსტრირებას, წვლილი შეაქვს ქორეოგრაფიის სფეროს განვითარებაში;
- არაპროგნოზირებად ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობისას ეფუძნება ობიექტურობის, პროფესიული ეთიკისა და გუნდურობის პრინციპებს, ქმნის შემოქმედებითად პროდუქტიულ გარემოს;
- ახდენს საკუთარი სწავლისა და სხვების შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, ადგენს შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებებს.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

ქორეოგრაფის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სწავლება-სწავლის, შედეგების მიღწევისა და შეფასების შესაბამისი მეთოდების შერჩევა.

საყურადღებოა, რომ სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები რელევანტური იყოს პროგრამის კომპონენტებთან, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების პრაქტიკაში რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ სწავლებისას, აქცენტი გაკეთდეს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობაზე სასწავლო პროცესში.

ქვემოთ მოყვანილი სწავლება-სწავლა შეფასების მეთოდები სარეკომენდაციო ხასიათისაა, ქორეოგრაფიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა შესაძლებელია სწავლების პროცესში გამოიყენონ ქვემოთჩამოთვლილთაგან შერჩეული ან სხვა მეთოდები:

4.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- ვერბალური სწავლების მეთოდი (ახსნა, განმარტება, თხრობა, საუბარი, ბრიფინგი, ლექცია და სხვ.);
- პრაქტიკული მეთოდები (ვიზუალიზაციის მეთოდი, სისტემატური შეგნებული ვარჯიშები და მოქმედებები);
- სწავლების რეპროდუქციული მეთოდი;
- განმეორებადობისა და სისტემურობის მეთოდი;
- ლაბორატორიული მეთოდი;
- აქტიური სწავლის მეთოდი (პრობლემური ლექცია; ევრისტიკული საუბარი; კვლევითი ლაბორატორიული სამუშაოები; დამოუკიდებელი მუშაობა წყაროზე; პრობლემური სიტუაციების გადაჭრა, დიაგნოსტიკური ამოცანები; თამაში - როლური, საქმიანი, საგანმანათლებლო თამაშები).
- დემონსტრაციის მეთოდი;
- ინდივიდუალიზაციასთან შერწყმული ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- იმპროვიზაცია;
- ინსტრუქცია, კომენტარი, რეპლიკა;
- ძიებისა და კვლევის მეთოდი;
- დისკუსია;
- დედუქცია;
- ინდუქცია;
- და სხვა.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გასათვალისწინებელია სწავლების საფეხურიც. ბაკალავრიატიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლასთან ერთად, კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები მეტი ინტენსივობით გამოიყენება, რაც ხელს უწყობს სტუდენტის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამომუშავებას.

ქორეოგრაფიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შესაძლებელია განისაზღვროს სწავლება–სწავლის ისეთი საგანმანათლებლო ფორმები, როგორიცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა, სემინარი, ინდივიდუალური მეცადინეობა, ჯგუფური მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, პრეზენტაცია, ვარჯიში (ტრენინგი), ვორქშოპი, ელექტრონული რესურსებით სწავლება და სხვა.

4.2. სწავლის შედეგების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგს, ამოწმებს სტუდენტის შეფასების სისტემა. ის უნდა უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და აფასებდეს იმ კრიტერიუმებით, რომელთა გაზომვა შესაძლებელია. სტუდენტის შეფასება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ობიექტურობის, სანდოობის, ვალიდურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

ქორეოგრაფიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლებელია აერთიანებდეს შეფასების სხვადასხვა მეთოდებს შემდეგ აქტივობებში:

- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- ქორეოგრაფიული ნაწარმოების ანალიზი (ზეპირი/წერითი);
- დავალება/სავარჯიშო (ინდივიდუალური/ჯგუფური);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- კვლევითი და პრაქტიკული ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება;
- რეფერატი;
- ტესტი;
- მოხსენება;
- დისკუსია-დებატები;
- და სხვა.

შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

V. დამატებითი ინფორმაცია

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე ქორეოგრაფიის სწავლება ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მეცნიერ-პედაგოგების ხელმძღვანელობით და დოქტორანტ–მკვლევარების აქტიური ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი უმაღლესი განათლება.

უმაღლესი განათლების საფეხურზე ქორეოგრაფიის სწავლების პროცესში ასევე შესძლებელია ჩართულნი იყვნენ შესაბამისი პროფესიული სფეროს სახელმწიფო/საპატიო წოდების მქონე კადრები (ქორეოგრაფიის მიმართულებით პროფესიული საქმიანობისთვის სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი: სახალხო არტისტის, დამსახურებული არტისტის, კულტურის/ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნების დამსახურებული მუშაკის, დამსახურებული მასწავლებლის წოდების მქონე პირები), შესაბამისი პროფილის დოქტორანტები, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები ან სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ საშუალო პროფესიული განათლება და მინიმუმ 10 წელი შესაბამის პროფესიულ სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

სასწავლო დაწესებულების პედაგოგები რეგულარულად უნდა ასრულებდნენ მხატვრულ-შემოქმედებით და მეთოდურ მუშაობას და იმაღლებდნენ კვლიფიკაციას.

გარდა, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა, ქორეოგრაფიის უმაღლეს საგანამათლებლო პროგრამის სწავლებაში ჩართული პედაგოგი რეკომენდებულია მონაწილეობდეს ქვემოთჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ ან რამდენიმე აქტივობაში;

- საშემსრულებლო აქტივობები;
- პროფესიული ანსამბლების საკონცერტო პროგრამებში არტისტის რანგში მონაწილეობა;
- ქორეოგრაფიული ნომრის დამდგმელ/რეპეტიტორად მუშაობა პროფესიულ ანსამბლებში;
- ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების ხელმძღვანელობა;
- ახალი საავტორო ნაწარმოებების შექმნა კულტურასა და ხელოვნებაში;
- მასტერ-კლასების ჩატარება და კვალიფიკაციის ამაღლება.
- კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა;
- პროფესიული გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა/წევრობა;
- ჟიურის წევრობა.

სფეროში კვალიფიციურობის დადასტურების ფორმებს განეკუთვნება:

- სახელმწიფო პრემიის მინიჭება;
- საპატიო წოდების მინიჭება (დამსახურებული არტისტი, მოღვაწე, მუშაკი და სხვა);
- სამეცნიერო ხარისხის მიღება;
- სამეცნიერო წოდების მინიჭება;
- სახელმწიფო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის წოდება.

5.1. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დაწესებულება უნდა ზრუნავდეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდის განახლებასა და საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სახის თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობის და პრაქტიკის ჩატარება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ უსაფრთხოების სტანდარტებს.

პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია:

- აუდიტორიები ჯგუფური და ინდივიდუალური (ცეკვის, მუსიკის) მეცადინეობებისათვის.
- მუსიკალური ინსტრუმენტები და აუდიო სისტემა;
- საგარდერობო ოთახი, კოსტიუმებისთვისა და რეკვიზიტებისთვის;
- გასახდელები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის;
- საშხაპე ოთახები;
- კომპიუტერული კლასი;
- ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი ინტერნეტით.

ქორეოგრაფიის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ხარჯები ქორეოგრაფიული დარბაზების, მუსიკალური ინსტრუმენტების, გასახდელის მოვლა-პატრონობისა და შეკეთებისთვის.

ქორეოგრაფიული დარბაზების მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები: ერთ სტუდენტზე გამოყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 4 კვ.მ ფართი; დარბაზში უნდა იყოს საცეკვაო იატაკი (ხის იატაკი ან სპეციალიზებული საფარი (ლინოლიუმი), ფიქსირებული და/ან პორტატული ძელი და სარკეები კედელზე;

სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს სასწავლო თეატრი სცენით და შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც შეესაბამება პროფესიული თეატრის სტანდარტებს.

5.1. უსაფრთხოების ნორმებისა და წესების შესახებ

ქორეოგრაფის პროგრამის განხორციელებისას, აუცილებელია შემუშავებული იყოს პროფესიული ნორმები და წესები, რაც უზრუნველყოფს ქორეოგრაფიულ გაკვეთილზე დაკავებულ პირთა უსაფრთხოებას!

ნორმების შემუშავებისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს გაკვეთილამდე პერიოდზე, სალექციო პროცესზე და მის დასასრულზე.

ქორეოგრაფიული გაკვეთილის (პრაქტიკული ლექციის) დაწყებამდე, ყურადღება ექცევა ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვას (დარბაზის განიავება, სისუფთავე, სინათლე და სხვა), მოწმდება აპარატურის გამართულობა და სამუშაო სივრცეში არსებული ტემპერატურა, რომელიც არ უნდა იყოს 18-19°C-ზე დაბალი. მნიშვნელოვანია სტუდენტთა სარეპეტიციო ტანისამოსისა და ფეხსამოსის ჰიგიენა, სიმსუბუქე, ელასტიურობა და სისადავე, ყოველგვარი ხელისშემშლელი აქსესუარებისგან თავისუფლება.

საგაკვეთილო პროცესში, სხვადასხვა ტრავმების ასაცილებლად, აუცილებელია ეგზერსისის ნაწილის გავლა (სხეულის გათბობა/გახურება). ტრავმების ძირითადი ნაწილი განპირობებულია ცუდი გახურების, ცივ სხეულზე მკვეთრი მოძრაობების გაკეთების, აგრესიული „გაწელვების“ და ცუდი ფეხსამოსის შედეგად, ასევე პირადი გაუფრთხილებლობით და უყურადღებობით საკუთრი სხეულის მიმართ. „გახურება“ უნდა შედგებოდეს ზოგადი და სპეციალური ნაწილებისგან. ზოგადი ნაწილი მიზნად ისახავს ფიზიოლოგიური სისტემების მოქმედების გაზრდას, რაც უზრუნველყოფს კუნთების მუშაობას (ნერვული, მამოძრავებელი, სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინული ჯირკვლები, თერმორეგულაცია, გამოყოფა). სპეციალური ნაწილი ითვალისწინებს სპეციფიკურ სავარჯიშოებს იმ ნერვული ცენტრებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ნაწილებისათვის, რომლებიც საჭიროა მომავალი საქმიანობისათვის.

გასათვალისწინებელია, რომ ხშირი გაცდენები აუარესებს მოცეკვავის ფიზიკური მომზადების ფორმას და ზრდის ტრავმის მიღების ალბათობას.

მოსადუნებელი „გაწელვები“ აუცილებელია ყოველი მეცადინეობის ბოლოს, ხოლო დინამიური „გაწელვები“ და „გრან ბატმანები“ - მხოლოდ პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ და კარგად გამთბარი სხეულით!

მოცეკვავეთა უსაფრთხოებისთვის, დისტანციის დაცვა აუცილებელია მოძრაობის ჯგუფურად შესრულებისას (ერთიმეორის უკან ან გვერდით), რათა არ მოხდეს შეჯახება; დაუშვებელია სარკესთან, ძელთან და ერთმანეთთან ახლოს დგომა მოძრაობის შესრულებისას;

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტექნიკურად რთული მოძრაობების შესრულება და რეკვიზიტების გამოყენება არ მოხდეს პედაგოგის მეთვალყურეობისა და დაზღვევის გარეშე!

ქორეოგრაფიული გაკვეთილის დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვანია მოცეკვავის პირადი ჰიგიენური ნორმების დაცვა, ასევე, დარბაზის ჰიგიენური ნორმების მოწესრიგება, ელექტრო მოწყობილობებისა და განათების კვების წყაროდან გათიშვა.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო ლიპარტიანი	სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის მიმართულებით, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
2.	მირანდა ბაღდადიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი
3.	თამარ ბერიძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი
4.	თამარ ცაგარელი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის კურატორი
5.	თინათინ ქათამაშვილი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და	დრამის რეჟისურის დოქტორანტი, ასისტენტ - პროფესორი

		კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	
6	ეკატერინე გელიაშვილი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, ქორეოგრაფი, დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ა(ა)იპ ეროვნული ქორეოგრაფიის ცენტრი „გე არტ" გენერალური დირექტორი
7	ანა სამსონაძე	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელოვნებო და კულტურის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი
8	ივანე ხუციშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" ავტორი და ხელმძღვანელი
9	ლაშა ჩხარტიშვილი	ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

			უნივერისიტეტის ასოცირებული პროფესორი
10	თინათინ ქოიავა	თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის დირექტორი, საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენოსანი
11	ზვიად ბაქრაძე	სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლი	დირექტორი
12	ნინო ტურაბელიძე	სტილიზებულ ფოლკორის თეატრი „ნაბადი“	დამფუძნებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი
13	დიმიტრი ხვთისიაშვილი	ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ა(ა)იპ შემოქმედებით კავშირ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
14	ოთარ ბაღდავაძე	სსიპ - საქართველოს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ერისიონი	სოლისტი მოცეკვავე
15	ნატალია თვალჭრელიძე	ილიაუნის თეატრი	ილიაუნის თეატრის დირექტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
16	ავთანდილ ვარსიმაშვილი	სსიპ - სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი; სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის რეჟისურის მიმართულების

			ხელმძღვანელი, თავისუფალი თეატრის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. კინოსტუდია „Vars-studio“-ს დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. „შექსპირის თეატრის საერთაშორისო ასოციაციის" (აშშ) სრულუფლებიანი წევრი
17	ზაზა სოფრომაძე	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
18	არჩილ ჭოტაშვილი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	კულტურის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
19	ეკატერინე ბაკურაძე	შპს მოძრაობის თეატრის ივენთები	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
20	ლია კევლიშვილი	სსიპ - გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი	მსახიობი
21	ანდრო ენუქიძე	სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი, არტ მენეჯმენტის დოქტორი, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი; ბათუმის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორთა/ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

დანართი N

სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2022

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიურ სტანდარტს სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) უმაღლესი განათლების 1-ლი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, მათ მისაღწევად საჭირო, სწავლება სწავლა შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებელებს.

დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს.

სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი), დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და დასაქმებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი აწესებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების სავალდებულო, მინიმალურ სტანდარტს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე უფრო მაღალი დონის სწავლის შედეგები განსაზღვრონ.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელი.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა – Subject Benchmark Statement of Acting (Drama and film actor, Musical theater actor, Pantomime theater actor, Puppet theater actor).

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- **აბიტურიენტისთვის,** რომელსაც სურს შეისწავლოს სამსახიობო ხელოვნება;
- **სტუდენტისთვის**, რომელსაც აინტერესებს თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სამსახიობო ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- **დამსაქმებლისთვის,** რომელსაც სურს შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება და დაინტერესებულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- **განათლების სფეროს ექსპერტთათვის,** რომლებსაც პერიოდულად ევალებათ დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი;

- წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარება/განხორციელების პროცესებში ჩართული **აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის.**

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ამ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატებითი სწავლის შედეგები, დეტალური შინაარსი, ასევე სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები.

სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) დარგობრივი მახასიათებელი ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სწავლის სფეროს ფორმულირებაში დაზუსტდა **სამსახიობო ხელოვნების** პროფესიული მიმართულებები, რომელიც შესაძლებელია დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის ან მოდულის სახით განხორციელდეს - დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი. ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში, აღნიშნული სწავლის სფეროს შესაბამისი სგანანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის წარმოადგენს დამატებით მითითებას სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებული პროფილების შესახებ. შესაბამისად სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0215.1.5. სამსახიობო ხელოვნება" დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 0215.1.5. სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი , პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) Acting (Drama and film actor, Musical theater actor, Pantomime theater actor, Puppet theater actor).

II. სწავლის სფეროს აღწერა

სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური მსახიობი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ქართული და საერთაშორისო ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე.

სამსახიობო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს დრამისა და კინოს მსახიობის პროფესიის ძირითადი ელემენტები, განუვითაროს საჭირო უნარ-ჩვევები, გაუკვალოს გზა

მსახიობის პროფესიის უმთავრესი მიზნის – მხატვრული სახის შექმნისაკენ; გამოუმუშაოს შემოქმედებითი, საშემსრულებლო მაღალპროფესიული ჩვევები და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი. აგრეთვე, სპეციალობა მიზნად ისახავს თანამედროვე მსახიობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობისათვის როგორც (შესაბამისი პროფილის) თეატრალურ სცენაზე, ასევე შოუ-სანახაობებში, ტელევიზიასა და კინემატოგრაფში, ნებისმიერ წარმოდგენასა და პერფორმანსში მონაწილეობისათვის.

ამასთანავე, მსახიობმა უნდა მოახერხოს განივითაროს საკუთარი, ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვა, მზად უნდა იყოს დამოუკიდებელი პროფესიული განვითარებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მსახიობის თეატრში, კინოსა და სატელევიზიო სივრცეში ადაპტაციისა და დამკვიდრებისათვის შესაბამისი უნარების გამომუშავება.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) სწავლის სფეროს შესაბამის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლაა განსაზღვრული.

სამსახიობო ხელოვნების პროგრამის სასწავლო გეგმა შედგება სავალდებულო - ძირითადი/საბაზო, დამხმარე და არჩევითი კურსებისგან, სფეროს სინთეზური ბუნებიდან გამომდინარე სამსახიობო ხელოვნება ისწავლება ქორეოგრაფიასთან, ვოკალის ხელოვნებასთან, თეატრმცოდნეობასთან და სხვა მომიჯნავე სფეროებთან კომბინაციაში.

სწავლება უპირატესად ორიენტირებულია პრაქტიკაზე და მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად, ასევე სტუდიურად და ინდივიდუალურად. სამსახიობო ხელოვნების სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პრიორიტეტულია ინდივიდუალური პროფესიულ–შემოქმედებითი უნარების განვითარება.

კურსდამთავრებულის საბაკალავრო/სამაგისტრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის შესაძლებლობას სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე, მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში.

უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურზე, სწავლის სფერო სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) აძლევს პროფესიულ ფართო ზოგად ცოდნასა და ძირითად უნარებს.

უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურზე, სწავლის სფერო სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) უზრუნველყოფს პროფესიული ღრმა ცოდნისა და უნარების განვითარებას დარგში არსებული პრობლემებისა და მიღწევების იდენტიფიცირებისა და გაანალიზების გზით, შემოქმედებითი უნარების სრულყოფას.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები განსაზღვრავს მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, დამატებით სხვა შედეგებიც განსაზღვროს. დაწესებულება ასევე უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, სამივე კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, სამ კატეგორიად დაყოფის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული

- ახდენს სამსახიობო ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული საკითხების, დარგის ძირითადი პრინციპების, სამსახიობო ოსტატობის საბაზისო უნარებისა და ელემენტების ცოდნის დემონსტრირებას;
- ახდენს სცენური თუ ეკრანული გმირის მხატვრული სახის შექმნისისთვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას;
- ავლენს მსოფლიო კლასიკური; თანამედროვე სალიტერატურო და დრამატურგიული მემკვიდრეობის, თეატრალური მეთოდოლოგიებისა და სცენაზე/გადასაღებ მოედანზე ქცევის კულტურის შესახებ ცოდნას;

უნარი

- კვალიფიციურად და არგუმენტირებულად მსჯელობს ლიტერატურული პირველწყაროების, თეატრალური და კინო ხელოვნების შესახებ;
- სცენური და ეკრანული სახის შესაქმნელად იყენებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას პლასტიკის, ვოკალის, მეტყველების, ეტიკეტის, პანტომიმის, სასცენო მოძრაობის, რითმიკის, თოჯინების მართვის, კამერასთან მუშაობის უნარებს;
- ავლენს სცენაზე და გადასაღებ მოედანზე ორგანული მოქმედების, საჯარო მარტოობის, პარტნიორთან ურთიერთობის, ვერბალურ-პლასტიკური მოქმედების უნარებს; მხატვრული სახის შექმნისას მოქმედებს გმირის მსოფლმხედველობის, ემოციური და ფიზიკური თვისებების შესაბამისად;
- დამოუკიდებლად მუშაობს როლზე, ახდენს მის ინტერპრეტირებას;
- ამყარებს ეფექტიან კომუნიკაციას რეჟისორთან, დასთან, სადადგმო/გადამღებ ჯგუფთან და მაყურებელთან;
- მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ქმნის ნაშრომს/პროექტს და ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ახდენს მის პრეზენტირებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- დამოუკიდებლად წარმართავს და აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს;
- საქმიანობისას ითვალისწინებს გუნდური მუშაობის პრინციპებს, იცავს პროფესიულ ეთიკას.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული

- ავლენს სცენაზე და გადასაღებ მოედანზე შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფთან მუშაობის ძირითადი პრინციპების სიღრმისეულ ცოდნას;
- სცენაზე და გადასაღებ მოედანზე ახდენს საკუთარი სამსახიობო შესაძლებლობების დემონსტრირებას.
- ავლენს ლიტერატურული პირველწყაროს ექსპლიკაციის საფუძვლების ცოდნას;
- განიხილავს თეატრალურ და კინოხელოვნებას ფართო ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და ესთეტიკურ კონტექსტში; განსაზღვრავს თეატრისა და კინოხელოვნების როლს საზოგადოების ცხოვრებაში;

უნარი

- პრაქტიკულად აყალიბებს შემოქმედებით კონცეფციას; როლზე მუშაობის პროცესში თანამშრომლობს რეჟისორთან, ახდენს ახალი იდეების გენერირებას;
- ქმნის მხატვრულ სახეებს და მუშაობს სხვადასხვა თეატრალურ მიმდინარეობებსა თუ ჟანრებში (დრამატული, მუსიკალური და თოჯინური სპექტაკლები, პერფორმანსი, პანტომიმა, ქორეოგრაფიული თუ ლიტერატურული და ა.შ);
- სამსახიობო ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე, ავლენს სხვებისთვის ცოდნის გაზიარებისა და სწავლების უნარს;
- მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ქმნის შემოქმედებით/კვლევით ნაშრომს/პროექტს და ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ახდენს მის პრეზენტირებას.
- ამყარებს ეფექტიან კომუნიკაციას შემოქმედებით და სადადგმო კოლექტივთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, მაყურებელთან, სპონსორებთან, მასმედიასთან, ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და ა.შ.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით და პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმიანობას, ეფექტიანად ანაწილებს დროს;

- მრავალმხრივ აფასებს საკუთარ და სხვის შემოქმედებით დაოსტატებას, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის და განვითარების საჭიროებებს .

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლება, სწავლისა და შეფასების მეთოდები წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. სამსახიობო ოსტატობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სწავლება-სწავლის, შედეგების მიღწევისა და შეფასების შესაბამისი მეთოდების შერჩევა.

საყურადღებოა, რომ სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები რელევანტური იყოს პროგრამის კომპონენტებთან, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების პრაქტიკაში რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ სწავლებისას, აქცენტი გაკეთდეს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობაზე სასწავლო პროცესში. სწავლება, სწავლის მეთოდები ითვალისწინებენ დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, ადექვატური შეფასების მიდგომები/კრიტერიუმები საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის ათვისებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი (დონე).

სწავლებისა და შეფასების მეთოდები ასევე ხელს უნდა უწყობდეს ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებასა და შესაძლებლობას, რაც სამომავლოდ საშუალებას მისცემს სტუდენტებს, განსაზღვრონ საკუთარი კმპეტენციების განვითარებისა და სრულყოფის გზები.

სწავლა-სწავლების პროცესში სამსახიობო ხელოვნების პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური სწავლების შემდეგ ფორმებს: ლექცია-სემინარი, ანალიზი, დისკუსია და დებატები, ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი, რეპეტიცია, როლური თამაშები, დემონსტრირება, საჯარო პრეზენტაცია, პრაქტიკული მუშაობა, კეთებით სწავლება, საკურსო და დამამთავრებელი/საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნა მონაწილეობა.

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. მიზანშეწონილია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.

რეკომენდებულია სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- ვერბალური მეთოდი;
- მასალაზე (პიესა, ლიტერატურული ნაწარმოები, პოეზია, პროზა და ა.შ.) მუშაობის მეთოდი;
- თეორიული ანალიზის მეთოდი;
- სასწავლო მასალასთან დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი/წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;

- პრეზენტირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატების მეთოდი;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები;
- შედარებითი ანალიზის მეთოდი.
- დემონსტრირების მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობა;
- ურთიერთსწავლება;
- ურთიერთშეფასება;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი;
- გონებრივი იერიში;
- და სხვა.

მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო–შემოქმედებითი ამოცანიდან გამომდინარე შეარჩეს სწავლების სხვა მეთოდებიც.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გასათვალისწინებელია სწავლების საფეხურიც. ბაკალავრიატიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლასთან ერთად, კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები მეტი ინტენსივობით გამოიყენება, რაც ხელს უწყობს სტუდენტის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამომუშავებას.

4.1. სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია, ეფუძნება მრავალკომპონენტიან სისტემას და შესაძლეებლია მოიცავდეს შემდეგ რეკომენდებულ მეთოდებს:

ზეპირი განხილვა, დებატები; ლიტერატურული პირველწყაროს ანალიზი ზეპირი ან წერილობითი ფორმით; ზეპირ გამოკითხვას, წერით გამოკითხვას, საშინაო დავალებას, ზეპირ გამოცდას, წერით გამოცდას, ტესტირებას რეფერატს, ესეს, პრეზენტაციებს, ინდივიდუალურ შეფასებას, თანამშრომლობითი პროექტებისა და ჯგუფური სამუშაოს შეფასებას და სტუდენტების ურთიერთშეფასებას, ინდივიდულურ და ჯგუფურ ჩვენებას/დემონსტრირებას, იმპროვიზაციას, დამოუკიდებელ პრაქტიკულ ნამუშევარს (სამსახიობო, ვოკალური, პლასტიკური, მეტყველება, თოჯინების მართვა, კამერასთან მუშაობა და სხვა); როლის შესრულება საკურსო/წინა სადიპლომო/საკვალიფიკაციო სპექტაკლში.

რეკომენდებული შეფასების კომპონენტები:

- დასწრება-ჩართულობა;
- აქტივობა;
- შუალედური გამოცდა,
- ფინალური გამოცდა
- და სხვა.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია

უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლის სფეროს სამსახიობო ოსტატობა (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაცია განსაზღვრულია კანონმდებლობით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და განვითარებას.

სასურველია პრაქტიკული დისციპლინების სწავლებაში აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სახელოვნებო მიმართულებით პრაქტიკული საშემსრულებლო გამოცდილება.

5.2. მატერიალურ -ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, უნდა უზრუნველყოს დაწესებულების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სახის თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობის და პრაქტიკის ჩატარება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ უსაფრთხოების სტანდარტებს.

სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) **საგანმანათლებლო პროგრამის სწვლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია:**

- აუდიტორიები მსახიობის ოსტატობის, მეტყველების, ცეკვის, მუსიკის და ა.შ. ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობებისათვის;
- აუდიო სისტემა;
- შესაბამისი კოსტიუმები და რეკვიზიტი;
- საგარდერობო ოთახი;
- გასახდელები;
- საშხაპეები;
- სცენა (განათების და აუდიო სისტემით აღჭურვილი);
- კულისები;
- საგრიმიოროები;
- კინოგადაღებისთვის საჭირო ტქნიკური აღჭურვილობა;
- ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზით;
- კომპიუტერული კლასი.

სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს სასწავლო თეატრი სცენით და შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც შეესაბამება პროფესიული თეატრის სტანდარტებს.

სამსახიობო მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ხარჯები თითოეული სპექტაკლისათვის (დეკორაცია, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება, კოსტიუმები და ა.შ.). სასურველია დაწესებულების ბაზაზე არსებობდეს საამქროები/სამკერვალოები დეკორაციების, რეკვიზიტებისა და კოსტიუმების დამზადების მიზნით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს წიგნადი ფონდის სისტემატიურ განახლებასა და საბიბლიოთეკო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომას.

5.3. დასაქმება

თეატრალური ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: დრამატული თეატრი; ფილარმონიული დაწესებულება; ტელევიზია – სატელევიზიო დადგმები; შოუ–პროგრამები; პერფორმანსები; გახმოვანების სტუდიები; რადიო; გასართობი ცენტრები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებები; კინო–სტუდია. საჯარო სამსახური კულტურის მიმართულებით და ა.შ.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო ლიპარტიანი	სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის მიმართულებით, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
2.	მირანდა ბაღდადიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი
3.	თამარ ბერიძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი
4.	თამარ ცაგარელი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის

		კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის კურატორი
5.	თინათინ ქათამაშვილი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	დრამის რეჟისურის დოქტორანტი, ასისტენტ - პროფესორი
6	ეკატერინე გელიაშვილი	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, ქორეოგრაფი, დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ა(ა)იპ ეროვნული ქორეოგრაფიის ცენტრი „გე არტ" გენერალური დირექტორი
7	ანა სამსონაძე	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელოვნებო და კულტურის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი
8	ივანე ხუციშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" ავტორი და ხელმძღვანელი
9	ლაშა ჩხარტიშვილი	ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ა(ა)იპ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის ასოცირებული პროფესორი
10	თინათინ ქოიავა	თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის დირექტორი, საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენოსანი

11	ზვიად ბაქრაძე	სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლი	დირექტორი
12	ნინო ტურაბელიძე	სტილიზებულ ფოლკორის თეატრი „ნაბადი“	დამფუძნებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი
13	დიმიტრი ხვთისიაშვილი	ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება	თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ა(ა)იპ შემოქმედებით კავშირ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
14	ოთარ ბაღდავაძე	სსიპ - საქართველოს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ერისიონი	სოლისტი მოცეკვავე
15	ნატალია თვალჭრელიძე	ილიაუნის თეატრი	ილიაუნის თეატრის დირექტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
16	ავთანდილ ვარსიმაშვილი	სსიპ - სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი; სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის რეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი, თავისუფალი თეატრის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. კინოსტუდია „Vars-studio“-ს დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. „შექსპირის თეატრის საერთაშორისო ასოციაციის" (აშშ) სრულუფლებიანი წევრი
17	ზაზა სოფრომაძე	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

18	არჩილ ჭოტაშვილი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	კულტურის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
19	ეკატერინე ბაკურაძე	შპს მოძრაობის თეატრის ივენთები	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
20	ლია კევლიშვილი	სსიპ - გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი	მსახიობი
21	ანდრო ენუქიძე	სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სამხატვრო ხელმძღვანელი, არტ მენეჯმენტის დოქტორი, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი; ბათუმის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორთა/ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე